# ევროპის თასი — რიგის კალათბურთელებს

23 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის თასის გათამაშებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი რიგის სკვო და სოფიის „აკადემიკი“. პირველი მატჩი ლატვიელმა სპორტსმენებმა თავიანთ მოედანზე ჩაატარეს და მოიგეს ანგარიშით 86:81.

გამარჯვებული უნდა გამოერკვია გუნდების მეორე შეხვედრას, რომელიც სოფიაში შედგა. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს რიგელმა კალათბურთელებმა, რომელთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდა კრუმინში. მაგრამ მან ჯერ კიდევ პირველსავე ტაიმში მიიღო 4 პერსონალური ჯარიმა და გუნდის მწვრთნელი გომელსკი იძულებული იყო იგი სხვა მოთამაშით შეეცვალა. ამან ოდნავადაც ვერ შეცვალა მდგომარეობა. საბჭოთა სპორტსმენები კვლავ უტევდნენ და გადამწყვეტი მატჩი მოგებულ იქნა ანგარიშით 84:71.

ევროპის თასი მოიპოვეს რიგის არმიელებმა.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 88 (1258) ○ ხუთშაბათი, 24 ივლისი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-14 წელი. ○ ფასი 30 კაპ.


## ბ. ნიკიტინი კვლავ ჩემპიონია

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის საწყლოსნო აუზში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ცურვაში. კვლავ წარმატება ხვდა წილად თბილისელ სპორტსმენს ბ. ნიკიტინს 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. იგი პირველი იყო ფინიშთან შედეგით 4.34,6. საინტერესო იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალი ქალთა შორის. ჩემპიონობისათვის ბრძოლა გაიმართა ესტონელ უ. ვოოგსა და თბილისელ რ. არკადიევას შორის. მანძილი უფრო სწრაფად გაცურა ესტონელმა — 1.06,6, რომელსაც 1,7 წამით ჩამორჩა საქართველოს გუნდის წარმომადგენელი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მოსკოველმა გ. ფილიპმა.

წარუმატებლად გამოვიდა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ა. ანტონიანი (საქართველო), რომელმაც საპატიო ტიტული „გადაულოცა“ მოსკოველ ლ. კოლესნიკოვს.

## საქართველოს გუნდი საპრიზო ადგილზე

მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის“ სპორტდარბაზში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური ჩემპიონატი ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივი, რომელმაც საერთო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა მოიპოვეს მოსკოვის მოფარიკავეებმა.

პირად პირველობაზე რაპირით ფარიკაობაში ქალთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონმა ა. ზაბელინამ. ვაჟთა შორის პირველი იყო გ. სვეშნიკოვი (რსფსრ). დაშნით ბრძოლაში გასული წლის ჩემპიონმა რ. ცირეკიძემ ვერ შეძლო ამ ტიტულის შენარჩუნება და ჩემპიონობა მოიპოვა გ. ხაბაროვმა (ლატვია). ესპადრონში პირველი იყო მოსკოველი ი. რილსკი, ხიშტით ბრძოლაში — ვ. ილინი (მოსკოვი).

# შეჯიბრების ალამი დაეშვა

250-ზე მეტი მონაწილის საზეიმო პარადითა და შეჯიბრების ალმის დაშვებით დაესვა წერტილი საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობას წყალში ხტომაში, რომელიც მეტად მძაფრი, საინტერესო და შეუპოვარი ბრძოლით იყო აღსავსე. დამთავრდა შეჯიბრება, მაგრამ არ დამთავრებულა საქმიანი საუბარი მის ირგვლივ. და რაც უფრო დიდხანს გასტანს ეს საუბარი, მით უფრო კარგი იქნება ჩვენთვის, ჩვენი სპორტის მომავლისათვის.

4 დღის განმავლობაში იბრძოდნენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მაღალი სახელის მოპოვებისათვის, საკუთარი კოლექტივის წარმატებისათვის. და როცა ეს 4 დღე უკან დარჩა, ჩვენს წინაშე დაისვა სრულიად კანონზომიერი კითხვა, რომელიც ყოველი შეჯიბრების დამთავრებას ახლავს თან: რა იყო ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი ამ პირველობაზე?

მისი უმთავრესი და სასიხარულო შედეგი გახლდათ ის, რომ ჩემპიონატმა გამოავლინა დღემდე უცნობი, ნიჭიერი ახალგაზრდობა. მათ შორის ცოტამ როდი „აუშალა“ ნერვები ჩვენს სახელგანთქმულ ოსტატებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი იქამდეც „გაკადნიერდა“, რომ საპრიზო ადგილებიდან უკანდახევა „მოსთხოვა“ მათ.

პირველობის მეორე თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ მისი მონაწილენი გაცილებით უკეთ მომზადებული იყვნენ, ვიდრე წინა წლებში. თუ ჯერ კიდევ 1956 წლის ხალხთა სპარტაკიადაზე მხოლოდ ორი სპორტსმენი ასრულებდა 10-მეტრიანი კოშკიდან ისეთ რთულ ხტომას, როგორიცაა 3½ სალტო წინ, თბილისის ჩემპიონატში არ იყო მხტომელი, რომელსაც თავის პროგრამაში არა ჰქონოდეს ეს ილეთი და კარგად არ შეესრულებინოს იგი.

საბჭოთა კავშირის პირველობის უკანასკნელ დღეს, 22 ივლისს, ჩატარდა შეჯიბრება 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ცნობილია, რომ რაც უფრო ნაკლებია სიმაღლე წყლის დონიდან, მით უფრო ძნელია ხტომის შესრულება. ერთი მეტრიდან მხტომელს რთულ მოძრაობათა შესრულება ჰაერში გაცილებით უფრო სწრაფად და მკვეთრად უხდება, ვიდრე, დავუშვათ, 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომისას. სწორედ ამიტომ, ამ დღის ბრძოლაც უფრო საინტერესო და ძნელი იყო და მან სავსებით გაამართლა მრავალრიცხოვანი მაყურებლის მოლოდინი.

ბრძოლაში პირველად ვაჟები ჩაებნენ. მათი რთული ხტომები მთავრდებოდა წყალში საუცხოო ვერტიკალური შეჭრით, რაც ტრიბუნების აღტაცებულ რეაქციას იწვევდა. ამ სახეობაში გამარჯვებული გამოვიდა ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ვ. ჩერნიშევი (რსფსრ), რომელმაც 137,60 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე 134,79 ქულით აღმოჩნდა უკრაინელი სტუდენტი, სპორტის ოსტატი ვ. მიშინი.

არანაკლებ მწვავე ბრძოლა გაიმართა ამ სახეობაში ქალთა შორისაც. და აქაც გამარჯვება ახალგაზრდობას ერგო. 13 წლის სპორტსმენმა — ე. კოსოლაპოვამ (რსფსრ) უკანასკნელ ჩასათვლელ ხტომაში შესანიშნავად შეასრულა 2½ სალტო წინ, ქულათა აქტივი 125,43-მდე გაზარდა და დამსახურებულად მოიგო პირველი ადგილი. მომდევნო ადგილები 124,17 და 121,48 ქულით შესაბამისად დაიკავეს მოსკოველმა გ. კლევენკომ და რსფსრ-ს გუნდის წარმომადგენელმა ნ. ბრედიხინამ.

ჭაბუკთა შორის, ისევე როგორც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, საუკეთესო იყო ლიტველი მ. ზიანკუსი (124,18 ქულა). მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ ბელორუსიის გუნდის წარმომადგენლებს — ვ. ანდრეევსა და ზ. გავრილოვს.

საგრძნობლად სუსტად გამოიდნენ გოგონები. მხოლოდ ერთმა მათგანმა, მოსკოველმა ვ. სინეტოვამ შეძლო პირველი თანრიგის ნორმის შესრულება. დანარჩენი მონაწილენი გუნდური ჩათვლის გარეშე აღმოჩნდნენ.

ამრიგად, მოსკოვის გუნდმა დააგროვა 17851 ქულა და მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1958 წლის ჩემპიონის წოდება წყალში ხტომაში. მეორე ადგილზე 15733 ქულით აღმოჩნდა ლენინგრადი, ხოლო მესამეზე — რსფსრ (13890).

საქართველოს გუნდმა, რომელიც გასული წლის პირველობაში მეცხრე ადგილზე გამოვიდა, ერთი ადგილით გადაიწია წინ (6402 ქულა). ამ გუნდის ძირითად სუსტ მხარეს წარმოადგენს ნიჭიერი ახალგაზრდა ცვლის უქონლობა. საოცარი კია! სად, თუ არა საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, უნდა იზრდებოდნენ წყალში ხტომის შესანიშნავი სპორტსმენები?! საოცარია ისიც, რომ რესპუბლიკის ნაკრების 16 წევრიდან მხოლოდ ერთია ბათუმიდან, ორი-სოხუმიდან, დანარჩენები კი — თბილისიდან. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გადაუდებელ ამოცანად დგას წყალში ხტომის ფართოდ გავრცელება საქართველოს ზღვისპირა რაიონებში. როგორც ჩანს, თვით ბათუმში და სოხუმშიც, სხვა ზღვისპირა ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ, ფიზკულტურული ორგანიზაციები ერთობ მცირე ყურადღებას უთმობენ წყალში ხტომის განვითარებას, მასში ახალგაზრდობის ფართოდ მიზიდვას, მაშინ, როცა აქ შესანიშნავი პირობებია სრულწლიური წვრთნისათვის.

რესპუბლიკაში ამ სახეობის სერიოზულად განვითარება წარმოუდგენელია სათანადო, კარგად მოწყობილი ბაზების გარეშე. ეს საკითხიც „აქილევსის ქუსლია“ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში. აი, თუნდაც, სოხუმში. აქ მხოლოდ ერთადერთი კოშკია და ისიც მოუვლელ მდგომარეობაში. ტრამპლინების მდგომარეობაზე ლაპარაკი კი სრულებით არ გვიხდება, ვინაიდან ისინი აქ სრულიადაც არ არსებობს. ასეთივე მდგომარეობაა ბათუმშიც და სხვაგანაც.

ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს წყალში მხტომელები ერთ-ერთი უძლიერესნი იყვნენ საბჭოთა კავშირში. ამისათვის აქ ყველა ბუნებრივი მონაცემი არსებობს. საჭიროა მეტი მონდომება, ინიციატივა და ენთუზიაზმი, საჭიროა ამ საქმის ნამდვილი სიყვარული. სპორტულმა სექციებმა ახლებურად უნდა გაშალონ მუშაობა ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსავლინებლად და ისეთ კარგ შესაძლებლობათა მქონე წყალში მხტომელთა ოსტატობის ასამაღლებლად, როგორიც არიან გ. ქირია, ა. ხარჩიკიანი, ვ. ევდოკიმოვი, გ. გონგაძე და სხვანი.

გ. მაზუროვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
შ. ჯულელი.



## ამერიკელი მძლეოსნები მოსკოვში

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაშია 71 სპორტსმენი. 27 და 28 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. მაყურებლები ნახავენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მძლეოსნებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს პ. ობრაიენს, ჩ. დიუმასს, ა. ორტურს, გ. დევისს, გ. კონოლის და სხვ.

# საბჭოთა სტუდენტებს გადაეცათ ოქროს მედლები

ბულგარეთში დამთავრდა მსოფლიოს გუნდური პირველობა სტუდენტ მოჭადრაკეთა შორის. საბჭოთა კავშირის გუნდმა ფინალის უკანასკნელ ტურებში კიდევ უფრო განამტკიცა თავისი სატურნირო მდგომარეობა და უკანასკნელი ტურის წინ ფაქტიურად გაინაღდა პირველი ადგილი..

უკანასკნელ, მეშვიდე ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა ამერიკელებს, ტალ-ლომბარდის, სპასკი-მედნისისა და გურგენიძე-სეიდის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. გუნდს გამარჯვება მოუტანა გიპსლისმა, რომელმაც ძლია ოსტატ ფეიერსტეინს. ამგვარად, საბჭოთა კავშირის სტუდენტთა გუნდმა მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით — 2,5:1,5.

საბჭოთა სტუდენტებმა 28 შესაძლებლიდან 19,5 ქულა მოაგროვეს და მოიპოვეს პირველი ადგილი. ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრები ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ტალმა, რომელმაც შვიდი პარტიის ზედიზედ მოგების შემდეგ სამი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ძლიერად თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის გუნდის დანარჩენი წევრებიც: გროსმაისტერი სპასკი, ოსტატები გურგენიძე, გიპსლისი, ნიკიტინი და ნიკოლაევსკი, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს. გუნდს წვრთნიდა გროსმაისტერი ბონდარევსკი.

მეორე ადგილზე გამოვიდა ბულგარეთის კოლექტივი.

